პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №--

ქ. ოზურგეთი „—“ მაისი 2023წ.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში (ვებგვერდი 09/09/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016479) და დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესი (შემდგომში – „პროგრამა“) წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამული კოდი (06.02.13) განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის (კურატორი) მოადგილე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

ა.ბ) პროექტით ცვლილებები შედის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N30 დადგენილებაში (ვებგვერდი 09/09/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016479) და დადგენილებით დამტკიცებული წესის 1-ლ მუხლში, კერძოდ დადგენილების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სადაც მითითებული იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ჩასწორდა და მიეთითა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2023 წლის --- ----------.